საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მრუდე ტბა

მრუდე ტბა, ტბა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, სამსრის ქედზე. ზ. დ. 2545 *მ*. ზედაპირის სარკის ფართობია 0.26 *კმ*^{2}, უდიდესი სიღრმე – 6.9 *მ*. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლებით. წყალუხვია მაის-ივნისში, მწყალმცირე – ზამთარში. გამდინარეა მიწისქვეშა გზით. ნოემბრიდან მაისამდე ტბა ყინულით იფარება. სუსტად მინერალიზებული ტბის წყალი სუფთაა და სასმელად ვარგისი.